

სტუდენტის სტატუსის აღდგენა

სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება სტატუსის შეჩერებიდან არაუმეტეს 5 წლის განმავლობაში. თუ საგანმანათლებლო პროგრამამ, რომელზეც სტატუსის შეჩერებამდე სწავლობდა სტუდენტი, განიცადა ცვლილებები ან გაუქმებულია, სტუდენტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ბხსუ-ში სტატუსის აღდგენაზე უარის თქმის ან სტატუსის აღდგენის და სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესახებ. ამ შემთხვევაში ხდება სტატუსის შეჩერებამდე შესწავლილი პროგრამის კომპონენტების შესაბამისობის დადგენა იმ საგანმანათლებლო პროგრამასთან, რომლითაც სწავლა გაგრძელდება ხელოვნების უნივერსიტეტში სტატუსის აღდგენის შემდეგ. საჭიროების შემთხვევაში მიიღება გადაწყვეტილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და ამ გეგმით სწავლის გაგრძელების შესახებ.

ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუსზე შეჩერებული პირისთვის სტატუსის აღდგენის შესახებ განცხადების განხილვის წინაპირობას წარმოადგენს არსებული ფინანსური დავალიანების დაფარვა.

სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით სტატუსზე შეჩერებულმა პირებმა უნდა მიმართონ სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტს (ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშაველას ქ. №19/32, ოთახი №105) და წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- განცხადება (განცხადება ივსება ადგილზე);
 - პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
 - სასწავლო ბარათის დამოწმებული ასლი/აკადემიური ცნობა სტუდენტის მიერ ათვისებული კრედიტების შესახებ;
 - სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების ასლი.
- ✚ სტუდენტის სტატუსის აღდგენის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს სემესტრის დაწყებამდე, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, რომლის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.